

#6, ივნისი, 2008

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული
დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია
სოციალურ სფეროზე ორიენტირებული
საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის
იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების
მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში
წარმომადგენლობას
ადმინისტრაციულ ორგანოებში
და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული
კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ
გამოცემას აზიანებს სამოქალაქო
საზოგადოების ინსტიტუტი
ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს ამ სფეროში მომუშავე
საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



სოლიდარობის აქცია

14 ივნისს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა
უფლებების დაცვის დღე აღინიშნა.

ამ დღესთან დაკავშირებით კოალიციამ „დამოუკიდებელი
ცხოვრებისათვის“ და ფედერაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“ („Save the
Children“), აშშ-ს განვითარების სააგენტოსა (USAID) და თბილისის
მერიის მხარდაჭერით, სოლიდარობის სპორტული აქცია მოაწყო
პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

(გაგრძელება)

სპორტულ ღონისძიებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ერთად პარლამენტის წევრები – გივი წერეთელი, რუსუდან კერვალიშვილი იღებდნენ მონაწილეობას.



ღონისძიების მიზანი იყო თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების ხაზგასმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ინკლუზიური გარემოს შექმნის აუცილებლობის კიდევ ერთხელ წარმოჩენა.



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის დღეს მიეძღვნა კონცერტი ვაკის პარკში, რომელიც ასევე 14 ივნისს გაიმართა პროექტის – თანაბარი პირობების განვითარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის – ფარგლებში, რომელსაც ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ („Save the Children“) ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან - კოალიციასთან „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ და Wordl Vision საქართველოსთან

ერთად ახორციელებს. ქართველი შემსრულებლების მონაწილეობით გამართული კონცერტის პარალელურად, გაიმართა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

•
თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, [სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის](#) ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი ვთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით.

მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალ ურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ

„ჩვენი სკოლა“

12 ივნისს, ამ სახელწოდებით გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიება 122-ე საჯარო სკოლაში, რომლის მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღისა და სკოლაში ინკლუზიური განათლების დაწყების აღნიშვნა.



ცენტრი“ (პროგრამას ავინანსებს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სახელმწიფო სააგენტო). ინკლუზიური სწავლების პროცესის დაწყებამდე სკოლის რამდენიმე კლასის წარმომადგენლს ჩაუტარდა ტრენინგი. ტრენინგი ჩატარეს და მისი მოდულები მოამზადეს კავშირის ინკლუზიური



ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კავშირის „ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოებისა“ და 122-ე საჯარო სკოლის წარმომადგენლები. კავშირის წარმომადგენლებსა და სკოლის დირექციას შორის აპრილში შედგა შეთანხმება, რომ სკოლაში ახალი სასწავლო წლიდან, ინკლუზიური განათლების პროცესი დაიწყება.

განათლების ხელმძღვანელმა და კოალიციის „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ახალგაზრდა ლიდერებმა.

როგორც უკვე ავლიშნეთ ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კავშირი „ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ და 122-ე საჯარო სკოლის დირექცია. ღონისძიების პირველი ნაწილი ზღაპრის



კავშირი, რომელიც 1995 წელს ჩამოყალიბდა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობელთა ორგანიზაციაა, სამი წელია ახორციელებს ინკლუზიური განათლებისა და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის პროგრამას სახელწოდებით – „დამოუკიდებელი ცხოვრების

სხვადასხვა პერსონაჟების გამოყენებით დადგმული სპექტაკლი იყო, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მოზარდები მონაწილეობდნენ, რომლებიც მომავალი სასწავლო წლიდან სკოლაში ისწავლიან. ღონისძიების მეორე მუსიკალური ნაწილი სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს.

„ცხოვრება მშვენიერია“

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს მიუძღვნეს 149-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და ასოციაცია „ანიკას“ დღის ცენტრის ბენეფიციარებმა ლონისძიება – „ცხოვრება მშვენიერია“.



ამისა მათი მხარდაჭერით სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, საიდანაც ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები მიდიან სკოლაში, დაიგო ასფალტის საფარი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მათში სკოლის



2006 წლიდან ასოციაცია „ანიკას“ ინიციატივით 149-ე საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების პროცესი დაიწყო. ასოციაციის პედაგოგები, ფსიქოლოგები აქტიურად მუშაობენ მოსწავლეებთან. გარდა ამისა ასოციაციაში ფუნქციონირებს დღის მოვლის ცენტრი.

შენობაში გაკეთდა პანდუსი, რომელიც ასოციაციის ხელშეწყობით ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) დააფინანსა. ლონისძიების დასასრულს, ფედერაციის „გადავარჩინოთ ბავშვების“ („Save the Children“) წარმომადგენლებმა სკოლის პედაგოგებისთვის გამართეს პრეზენტაცია ინკლუზიური განათლების მოდელებისა და ახლებური მიდგომების შესახებ.



ბავშვებმა ყვავილების ნარგავებით გაამწვანეს სკოლის ეზო, მათმა ნაწილმა მეგობრობის თემაზე მოხატეს სკოლის ეზო, ყვოელივე ეს ქართული სიმღერების ფონზე მიმდინარეობდა, რომელსაც სკოლის მოსწავლეები ასრულებდნენ. ლონისძიების მომზადებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე პედაგოგები, ასოციაცია „ანიკა“ და მისი ბენეფიციარები, ბავშვებს ნარგავები გლდან-ნაძალადევის გამგეობამ გადასცა. გარდა

საკონკურსო განაცხადი

სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ აცხადებს ტენდერს „გლობალური ფონდის“ პროექტის „საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ლონისძიებების გატარება“ (პროექტი №GEO-607-G05-T) პროგრამის ფარგლებში ამბულატორიულ მკურნალობაზე მყოფი რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების სურსათით უზრუნველყოფის მომსახურების (ე.წ. „ვაუჩერის“ მექანიზმის გამოყენებით) შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ინფორმაცია იხილეთ
 გაზეთი "24 საათი", 10 ივნისი, 2008
 ან <http://www.civilin.org/welfare>

მზის ზეიმი – 2008

1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს „მზიურში“ ბავშვებისთვის – „მზის ზეიმი“ გაიმართა, რომელმაც ტრადიციული სახე მიიღო და ყოველ წელს დიდ სიხარულს ანიჭებს პატარებს.



ზეიმი უკვე მესამედ ტარდება და მისი ორგანიზატორია საინიციატივო ჯგუფი ანა გოგუაძის თაოსნობით. წლებანდელი ზეიმის მიზანი იყო მზრუნველობამოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოებასთან ადაპტაციის ხელშეწყობა. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა ღონისძიებები – ბავშვთა ნახატების გამოფენა,



მსურველებს ფერადი ცარციით თავად შეეძლოთ დაეხატათ მზე, ბავშვთა ნაწილს კი მზის თოჯინასთან ერთად დაულაღვად ეთამაშა, ნაწილს კი კონცერტისთვის ეცქირა. მოკლედ, ბავშვთა ფესტივალის თითოეულ ღონისძიებას თან გასდევდა წლებანდელი ღონისძიების სლოგანი – „სასწაულიც ხდება“.

უპრეცედენტო საქველმოქმედო გამოღენა-გაყიდვა „ბავშვები ბავშვებისთვის“

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, თბილისის ზოოლოგიურ პარკში გაიმართა ბავშვთა ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა სახელწოდებით – „ბავშვები ბავშვებისთვის“.

თბილისის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან ერთად მოაწყვეს საკუთარი ხელით შექმნილი სუვენირების, სამკაულებისა და სათამაშოების გამოფენა-გაყიდვა. ბავშვების გადაწყვეტილებით, შემოსული თანხა გადაერიცხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კავშირ «იას». კავშირი ამჟამად ფინანსურ სიძნელეს განიცდის, შემოსული თანხა სამუშაო მასალების შესყიდვას მოხმარდება, რომლითაც ახალ ნივთებს დაამაზდებენ კავშირ „იას“ ბენეფიციარები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კავშირი „ია“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2005 წელს დაარსეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლებმა, დარეგისტრირებამდე ორგანიზაცია მუშაობდა ორი წლის განმავლობაში საინიციატივო ჯგუფის სახით.

კავშირის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობისა და მათდამი საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა, სტიგმის დაძლევა, მათი განვითარების ხელშეწყობი პირობების შექმნა, უფლებების დაცვა. კავშირს აქვს დღის ინტეგრირებული ცენტრი, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან ერთად მათი და-ძმა ან სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები საქმიანობენ და ქმნიან თიხისა და თეფის სამკაულებს. თეფის სათამაშოებს, ნაჭრის თოჯინებს და სხვადასხვა ლამაზ ნივთებს, რომელთა გამოფენა-გაყიდვა არაერთხელ მოეწყო, რაც დიდ სტიმულს აძლევს კავშირის ბენეფიციარებს.

•

თანამშრომლობის სტრატეგია

2008 წლის 4-6 ივნისს, ჰოლანდიური საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის „კორდეიდის“ ორგანიზებით სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“, პარტნიორი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, გაიმართა სამდღიანი სემინარი თემაზე – „განვითარების სფეროში მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის და

ისახავდა „კორდეიდის“ პარტნიორი ორგანიზაციების მუშაობის წარმოჩენას და ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას სამთავრობო სტრუქტურებთან, საერთაშორისო დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან საერთო მიზნების განსახორციელებლად. 5 ივნისს, „კორდეიდის“ პარტნიორი ორგანიზაციების სემინარულ მუშაობაში ასევე ჩაერთვნენ როგორც სამთავრობო, ასევე საერთაშორისო ინსტიტუციონალური დონორი ორგანიზაციების ადგილობრივი წარმომადგენლები. სხდომას დაესწრო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი სანდრო კვიციანი, რომელმაც აღნიშნა, რომ „კორდეიდი“ დიდი ხანია საქართველოში მუშაობს და ჯანდაცვის სფეროში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. სამწუხაროა, რომ მათი მოღვაწეობა ჩვენს ქვეყანაში სრულდება. სამინისტრო ყველანაირად ცდილობს, რომ ამ ფონდის საქართველოდან წასვლის შემდეგ, დაწყებული პროექტები გაგრძელდეს“. სემინარის მონაწილეებმა მუშაობა გააგრძელეს ჯგუფებში და შეიმუშავეს რეკომენდაციების პაკეტი სახელმწიფო სტრუქტურების, დონორი და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი, რომელიც ეხება სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობას, არასამთავრობო ორგანიზაციების თემატურ კოალიციებად გაერთიანებას, ფონდების მოძიების სტრატეგიის შემუშავებას.




პარტნიორობის დინამიკა და სტრატეგია“. „კორდეიდი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დონორი ორგანიზაციაა ევროპაში, რომელიც საქართველოში 10 წელზე მეტხანს უწყვეტად ფინანსურ მხარდაჭერას არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას ორი ძირითადი თემატური მიმართულებით: ჯანდაცვა და დემოკრატიზაცია. პირველი მიმართულება ფოკუსირებული



იყო ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის განვითარებაზე (ძირითადად დეინსტიტუციონალიზაციის საკითხები) და შინამშენებლის პროგრამაზე. მეორე მიმართულება ორიენტირებული იყო მარგინალური ჯგუფების, ადამიანის უფლებების დაცვაზე და დემოკრატიზაციის პროცესების განვითარებაზე ჩვენ ქვეყანაში. სამდღიანი სემინარი მიზნად

საკონკურსო განაცხადი
„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“ აცხადებს ორეტაპიან ტენდერს „სადიაგნოსტიკო გამოკვლევების მინიმალური სტანდარტების შემუშავება, საჯარო განხილვები და სამოქმედოდ შემოღება“ მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.
ინფორმაცია იხილეთ
გაზეთი „24 საათი“, 11 ივნისი, 2008 წლის ან <http://www.civilin.org/welfare>

პრესის მონიტორინგი




სოციალურ

სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს. ამისთვის შევარჩიეთ ყოველდღიური და რეიტინგული გამოცემები – „რეზონანსი“ („კვირის რეზონანსი“, „მთელი კვირა“), „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“ („კვირიდან კვირამდე“), „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

პრესის აქტივობა

მაისის თვის განმავლობაში გამოქვეყნდა 30 პუბლიკაცია ინფორმაცია.



- ახალი თაობა
- ალია/ქრონიკა
- 24 საათი
- რეზონანსი
- კვირის პალიტრა


თემატური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ქველმოქმედებას/საქველმოქმედო აქციას მიეძღვნა 13 პუბლიკაცია ინფორმაცია,

სხვადასხვა პროგრამების/პროექტების შესახებ გამოქვეყნდა 8, ხოლო უფლებების შესახებ 7 ინფორმაცია/პუბლიკაცია დაიბეჭდა. კონკრეტული 1 ისტორია და ერთი საცნობარო პუბლიკაცია.

ტერმინები

პრესაში გამოქვეყნებული ტერმინები.



- მზრუნველობამოკლებული
- ქუჩის ბავშვი
- მაწანწალა
- ობოლი
- უსახლკარო
- მოხუცი
- ინვალიდი
- შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე
- გადაადგილების უნარმოკლებული
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
- უნარშეზღუდული